ეროვნული ბიბლიოთეკა

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის „დინამოსა“ და წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიის წყალბურთელთა მატჩის მომენტი. თბილისელი ო. მიმინოშვილი (№ 6) იერიშისას.

მ. ზარგარიანის ფოტო.

(შეხვედრის ანგარიში იხ. მე-3 გვ.).



# პირველია „ისინდი“

მოსკოვი, 24 აპრილი. შეჯამდა შედეგები პროფკავშირთა ფიზკულტურის კოლექტივების და სპორტული კლუბების მუშაობის საკავშირო დათვალიერებისა, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს ეძღვნებოდა. დათვალიერებაში პროფკავშირთა სპორტული საზოგადოებების 104 ათასი კოლექტივი მონაწილეობდა.

გამარჯვება მოიპოვეს:

**საწარმოთა ჯგუფში** — ვოროშილოვგრადის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ლენინის ორდენოსანი თბომავალმშენებელი ქარხნის სპორტკლუბმა „ზარიამ“ (საზოგადოება „ავანგარდი“), ტრესტ „ყაზმეტალურგსტროის“ საკავშირო დამკვრელური კომკავშირული მშენებლობის ფიზკულტურის კოლექტივებმა, აგრეთვე, ვერხ-ისეტსკის მეტალურგიული ქარხნისა და ლვოვის რკინიგზის სადგურ მუკაჩოვოს სალოკომოტივო დეპოს წარმომადგენლებმა;

**გაერთიანებული კოლექტივების ჯგუფში** — „ვოლგოგრადგიდროსტროის“ კოლექტივმა;

**სოფლის კოლექტივებში** — სტავროპოლის მხარის სარაევის სახელობის კოლმეურნეობის სპორტულმა კლუბმა „მაიაკმა“;

**უმაღლესი სასწავლებლების ჯგუფში** — კრასნოდარის უნივერსიტეტის სპორტულმა კლუბმა;

**საშუალო სპეციალური სასწავლებლების კოლექტივების ჯგუფში** — თბილისის მანქანათმშენებელი ტექნიკუმის სპორტკლუბმა „ისინდმა“.

(საკდეს).



სსრ კავშირის პირველობა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 82 (4076) 26 1970 წ. აპრილი. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

უმაღლესი ჯგუფი — „ა“ კლასი

## ფეხბურთი

ლენინგრადში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ზენიტი“ და თბილისის „დინამო“. ანგარიში მე-6 წუთზე გახსნა ლ. ნოდიამ, მაგრამ სტუმრებმა გამარჯვება ვერ შეინარჩუნეს: მატჩის ბოლო წამზე ზენიტელმა უნანოვმა საპასუხო ბურთი გაიტანა — 1:1.

ქუთაისში ითამაშეს ადგილობრივმა „ტორპედომ“ და „ნევთჩიმ“. მეტოქეებმა ბურთი ვერ გაიტანეს — 0:0.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა:

„დინამო“ (მინსკი) — „შახტარი“ 2:0. გოლები — ფოკინი, გრებნევი.

„ჩერნომორეცი“ — „არარატი“ 2:1.

„დინამო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 3:0. გოლები — კოზლოვი, ლარინი (2).

● ●

II ჯგუფი — „ა“ კლასი

## მეორე ზონაში

მოგვყავს „ა“ კლასის II ჯგუფის II ზონის ფეხბურთელთა გუნდების განვლილი ტურის შედეგები: „დინამო“ (მახაჩყალა) — „მეტალურგი“ (ტულა) 2:2, „ფოლადი“ (სუმგაითი) — „დინამო“ (ბრიანსკი) 2:0, „დინამო“ (კიროვაბადი) — „ლოკომოტივი“ (კალუგა) 3:0, „სტალი“ (ვოლგოგრადი) — „ვოლგა“ (გორკი) 1:1, „დინამო“ (სტავროპოლი) — „ტორპედო“ (ტაგანროგი) 0:0, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „ტრუდი“ (ვორონეჟი) 1:0, „დრუჟბა“ (მაიკოპი) — „ვოლგა“ (კალინინი) 1:3, „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:1, „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) — „სატურნი“ (რიბინსკი) 2:0.

# სტარტზეა „კონკურსი-70“

მოსკოვი, 24 აპრილი. სპორტული ბაზების საკუთარი ძალებით მშენებლობისა და კეთილმოწყობის მეორე საკავშირო დათვალიერება-კონკურსი წლეულს ჩატარდება — ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგიამ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმმა.

კონკურსის მონაწილენი ორ ჯგუფად არიან დაყოფილი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მიხედვით. დათვალიერება 1970 წლის 1 ნოემბრამდე გასტანს. კონკურსის პირობების თანახმად, ამ თავისებურ შეჯიბრებაში ბევრი ინსტიტუტი და ტექნიკუმი მიიღებს მონაწილეობას. საუკეთესო ახალი სასწავლო სპორტული კომპლექსის გარდა შეიძლება საკონკურსოდ წარდგენილი იქნეს მისი ცალკეული ნაწილები (დამხმარე სათავსოები, გასახდელები, საშხაპეები, განათება, ვენტილაცია, საფარი, გათბობა, ტრიბუნები და სხვ.) ორიგინალური გადაწყვეტაც.

გაიმარჯვებენ ის კოლექტივები, რომლებიც ადგილობრივი სამშენებლო მასალებისა და რესურსების გამოყენებით კონკურსის ყველა პირობის შესაბამის სპორტულ ნაგებობას შექმნიან.

ჯილდოდ დაწესებულია ფულადი პრემიები სპორტული ინვენტარისა და მოწყობილობის შესაძენად, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სიგელები.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ სტუდენტებს, ყველა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლო დაწესებულების მასწავლებლებს.

## „ლოკომოტივის“ გამარჯვება

თბილისის „ლოკომოტივს“ სსრ კავშირის თასზე მორიგი მატჩი ჰქონდა ასტრახანში, ადგილობრივ „ვოლგართან“, რომელიც საკავშირო პირველობაზე „ა“ კლასის I ჯგუფში გამოდის.

„ლოკომოტივმა“ კარგად ჩაატარა შეხვედრა და გაიმარჯვა — 1:0. ლოკომოტიველები გავიდნენ გათამაშების მეთექვსმეტედფინალში, სადაც მათი მეტოქე იქნება თბილისის „დინამო“.

როგორც ცნობილია, თასის ახალი დებულებით მეთექვსმეტედფინალის მონაწილენი ერთმანეთს ხვდებიან ორჯერ. ჩვენი გუნდები — „დინამო“ და „ლოკომოტივი“ ერთმანეთს ეთამაშებიან 9 და 13 მაისს.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მაშუკი“ (პიატიგორსკი) | 3 | 3 | 0 | 0 | 4—1 | 6 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 3 | 3 | 0 | 0 | 3—0 | 6 |
| „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) | 3 | 2 | 1 | 0 | 6—0 | 5 |
| „დილა“ (გორი) | 3 | 2 | 1 | 0 | 6—2 | 5 |
| „ტორპედო“ (ტაგანროგი) | 3 | 2 | 1 | 0 | 5—1 | 5 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 3 | 2 | 1 | 0 | 5—2 | 5 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 3 | 2 | 0 | 1 | 6—1 | 4 |
| „ფოლადი“ (სუმგაითი) | 3 | 1 | 2 | 0 | 2—0 | 4 |
| „დინამო“ (სტავროპოლი) | 3 | 1 | 2 | 0 | 3—2 | 4 |
| „მეტალურგი“ (ტულა) | 3 | 1 | 2 | 0 | 3—2 | 4 |
| „დინამო“ (მახაჩყალა) | 3 | 1 | 1 | 1 | 5—5 | 3 |
| „დრუჟბა“ (მაიკოპი) | 3 | 1 | 1 | 1 | 3—3 | 3 |
| „ლოკომოტივი“ (კალუგა) | 3 | 1 | 1 | 1 | 2—4 | 3 |
| „სტალი“ (ვოლგოგრადი) | 3 | 0 | 2 | 1 | 3—4 | 2 |
| „შინიკი“ (იაროსლავლი) | 3 | 0 | 2 | 1 | 1—2 | 2 |
| „ვოლგა“ (კალინინი) | 3 | 1 | 0 | 2 | 3—6 | 2 |
| „მეტალურგი“ (ლიპეცკი) | 3 | 0 | 1 | 2 | 1—3 | 1 |
| „სალუტი“ (ბელგოროდი) | 3 | 0 | 1 | 2 | 2—5 | 1 |
| „ვოლგა“ (გორკი) | 3 | 0 | 1 | 2 | 2—6 | 1 |
| „ტრუდი“ (ვორონეჟი) | 3 | 0 | 0 | 3 | 1—6 | 0 |
| „სატურნი“ (რიბინსკი) | 3 | 0 | 0 | 3 | 0—5 | 0 |
| „დინამო“ (ბრიანსკი) | 3 | 0 | 0 | 3 | 1—7 | 0 |

# მეტრეველი — ჰოადი 2:6, 8:6, 6:1, 7:5!

## „ბრწყინვალე ჩოგბურთის მატჩი“



რომი, 25 აპრილი. იტალიის ღია ჩემპიონატის მეოთხედფინალურ შეხვედრებში ყველაზე დიდი სენსაცია გამოიწვია თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტის ა. მეტრეველის გამარჯვებამ 36 წლის გამოცდილ პროფესიონალ ჩოგბურთელთან ლ. ჰოადთან (ავსტრალია) — 2:6, 8:6, 6:1, 7:5. მეტრეველმა დამაჯერებლად სძლია უიმბლდონის ტურნირის ორგზის ჩემპიონს და სპორტულმა მიმომხილველებმა ამ შეხვედრას „ბრწყინვალე ჩოგბურთის მატჩი“ უწოდეს.

ბაქოელ ს. ლიხაჩოვთან წყვილში მეტრეველმა აგრეთვე წარმატებით ითამაშა იტალიური დუეტის (ფ. ბარტონი — ე. კასტილიანო) წინააღმდეგ — 3:6, 6:4, 6:2, 6:1. საბჭოთა ჩოგბურთელები მეოთხედფინალში გავიდნენ.

იტალიის ღია ჩემპიონატების 27-წლიან ისტორიაში პირველად ვაჟთა შორის უმაღლესი წოდებისთვის მხოლოდ სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები იბრძოლებენ. ნახევარფინალური წყვილები ასე გამოიყურება: მეტრეველი — ი. კოდეში (ჩეხოსლოვაკია), ი. ნასტასე (რუმინეთი) — ნ. პილიჩი (იუგოსლავია).

მოსკოველი ვ. კოროტკოვისა და პოლონელი ვ. გონშორეკის წყვილმა წააგო შეხვედრა ბოურისთან და დევიდსონთან (ორივე — ავსტრალია) — 2:6, 1:6 5:7.

ქალთა წყვილებში მოსკოველი ო. მოროზოვა და ტალინელი ტ. კივი დამარცხდნენ ძალიან ძლიერ დუეტთან: დიურთან (საფრანგეთი) და უეიდთან (ინგლისი) — 1:6, 1:6.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ა. მეტრეველი.

20 45

◆ სოფია, 25 აპრილი. „სოფიის პრიზის“ გათამაშების გადამწყვეტ მატჩში მოსკოვის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა მარცხის სიმწარე იწვნია — ანგარიშით 70:77 (42:41) წააგო ბერლინის ნაკრებთან. საბჭოთა გუნდში თავი გამოიჩინა სოკოლოვმა (21 ქულა), ხოლო ბერლინის ნაკრებში — ფლაუმ (17). ბუდაპეშტელებმა სძლიეს ვენელებს (80:67), პარიზელებმა — ვარშაველებს (75:61), სოფიის ნაკრებმა — პრაღელებს (71:47).

◆ ედინბურგი, 25 აპრილი. აქ მიმდინარეობს ინგლისისა და სსრ კავშირის მოცურავეთა საერთაშორისო ტრადიციული მატჩი. პირველი დღის შემდეგ დაწინაურდნენ სტუმრები — 102:46. მათ პროგრამის 10 სახეობიდან მხოლოდ ერთი წააგეს. მასპინძლებმა ეს გამარჯვება 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მოიპოვეს: ა. ჯეკსონმა (1.02,2) მოსკოველ გ. სინიცინას 0,6 წამით აჯობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ დაამწევა ოდესელებს?

1970 წელს საბჭოთა კავშირის ჭაბუკი მძლეოსნები და მათი უცხოელი თანატოლები მეთხუთმეტედ გამოვლენ საერთაშორისო შეჯიბრებების სტარტზე პიონერულ ოთხჭიდში, რომელიც „დრუჟბას" ხახელწოდებას ატარებს. საბავშვო ტურნირის ისტორია ასეთია: 1956 წელს პოლონეთის საბავშვო გაზეთმა „სვიატ მლოდიხმა" თავის ქვეყანაში ჩაატარა შეჯიბრებები მძლეოსნობაში მოსწავლეთა შორის. ათასობით ბავშვი გამოვიდა სტადიონების ბილიკებზე და სექტორებში. გუნდი, რომელმაც საერთო ჩათვლაში გაიმარჯვა (60 მეტრზე რბენა, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომა, ბურთის ტყორცნა), თასით დაჯილდოვდა.

მძლეოსნური შეჯიბრებები პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ისე მხსობრივად და მიმზიდველ ბრძოლაში ჩატარდა, რომ საბავშვო სპორტის მესვეურებმა და გაზეთის რედაქციამ დემოკრატიული ახალგაზრდობის საერთაშორისო ფედერაციასთან არსებულ ბავშვთა კომისიას მიმართეს წინადადებით ამ ტურნირების საერთაშორისო მასშტაბით გამართვის თაობაზე. ამ წინადადებამ ბევრ ქვეყანაში ჰპოვა გამოხმაურება.

1969 წელს „დრუჟბის" ფინალი მოსკოვში, ნორჩ პიონერთა სტადიონზე გათამაშდა. თასისთვის იბრძოდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, მონღოლეთის, ფინეთის, პოლონეთის, საფრანგეთის, რუმინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ჭაბუკი სპორტსმენები. გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა კავშირის გუნდმა, უფრო ზუსტად, ოდესის 57-ე სკოლის პიონერთა კოლექტივმა.

ამ სკოლის მოსწავლეები უკვე რამდენიმეჯერ გამოსულან საერთაშორისო შეჯიბრებებში და, როგორც წესი, მუდამ ჩინებულ შედეგებს აღწევდნენ.

როგორ მოვიდა წარმატება „სპორტის დედოფლის" ჭაბუკ თაყვანისმცემლებთან?

57-ე სკოლის ბიჭებს უყვართ, როცა შეჯიბრება საზეიმოდ ეწყობა. ლამაზ ტანსაცმელსაც ჩაიცვამენ, მეზღვაურთა ორკესტრსაც დაპატიჟებენ, დროშებსაც გამოფენენ, ხელში ალმებს დაიკავებენ და მწყობრად გაემართებიან სკოლიდან სტადიონისკენ. იმ დღეს კლასები დაცარიელებულია. მხოლოდ პატარა კორესპონდენტები ფუსფუსებენ დერეფნებში და „ელვებში" აქვეყნებენ ცნობებს ძველი რეკორდების დამხობაზე.

ყოველ გაზაფხულზე სასკოლო სტადიონზე აგიზგიზდება ცეცხლი: მძლეოსნური ოლიმპიადის ალამი აღმართულია! იმ დღეს სტარტზე გამოსვლა ბავშვებისთვის დიდი პატივია. მხოლოდ ყველაზე უკეთ მომზადებულებს შეუძლიათ საპატიო კვარცხლბეკზე ასვლა. მზადება ჯერ კიდევ სექტემბერში იწყება. თავდაპირველად ოთხჭიდის პროგრამით თითოეული კლასი ეჯიბრება ერთმანეთს. აქ ბრძოლა მხოლოდ პირად ჩათვლაში ტარდება. მეორე ეტაპი უფრო პასუხსაგებია: შეჯიბრებები პარალელურ კლასებს შორის მიმდინარეობს. თუ ვინმე ცუდად გამოვა ან საერთოდ არ გამოცხადდება სტარტზე, მის გუნდს ძვირფასი ქულები დააკლდება. ასეთი მოვლენა სკოლაში შეუმჩნეველი არ დარჩება. დამნაშავეს ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოზე გამოიძახებენ და თავისივე ამხანაგებისგან იმდენ არასასიამოვნო სიტყვას მოისმენს, რომ შემდეგში, დარწმუნებული იყავით, ამ საქციელს აღარ გაიმეორებს.

ერთხელ სასკოლო კედლის გაზეთში გამოჩნდა ვალოდია ტოპოლსკის პორტრეტი და წერილი მის შესახებ. ვალოდია არც ისე ცუდი მძლეოსანია, მაგრამ ჩემპიონობამდე კიდევ შორს არის. მაშ რით გამოიჩინა თავი?

შეჯიბრებამდე რამდენიმე დღით ადრე, ფეხბურთის თამაშის დროს, ვალოდიამ ფეხი იტკინა. იგი VII კლასის გუნდში გამოდიოდა და შეიძლება ჩათვლა ვერ მიეღო შეჯიბრებაში. ექიმმა ტოპოლსკის კატეგორიულად აუკრძალა სტარტზე გამოსვლა. მაგრამ იგი მოვიდა — გამოუქანებლად ხტებოდა სიმაღლეზე. ფიზკულტურის მასწავლებელი გალპერინი განზე იჯდა და თავს აქნევდა: „ყოჩაღ, ნამდვილი გმირია!". ვალოდია ბურთსაც ადგილიდან ტყორცნიდა. თითქმის 60 მეტრამდე ტყორცნა. ყველაზე მეტად სტადიონი მას უკრავდა ტაშს.

ქალაქ კლაიპედაში საკავშირო შეჯიბრებების დროს ოთხჭიდში მოასპარეზე ოდესელი ბიჭები ბურთის ტყორცნაში გაცილებით ძლიერები იყვნენ სხვა ქალაქებიდან ჩამოსულ ჭაბუკ სპორტსმენებთან შედარებით. რატომ? ტყორცნის ტექნიკა მეტად რთულია. ბევრი ბურთს კი არ ტყორცნის, არამედ ქვასავით ისვრის. გარბენით კიდევ უფრო უარესად ტყორცნიან. კი არ მირბიან, თხებივით დახტიან, არ იციან, რა უყონ ხელს, რომელშიც ბურთი უჭირავთ. შემდეგ, საკონტროლო ხაზთან რომ მიდიან, გაშეშდებიან და მხოლოდ მაშინ ტყორცნიან.

ჭაბუკი ოდესელები მთელი წლის მანძილზე სწავლობენ ტყორცნის ტექნიკას. ზამთარშიც კი ვარჯიშობენ, თუმცა მანეჟში არასოდეს ჰქონიათ საწვრთნელი მეცადინეობა. არც სპეციალურად მოწყობილი დარბაზი აქვთ. ტექნიკის სრულყოფისთვის თოვლის გუნდას იყენებენ. ზამთარი ოდესაში თბილია, თოვლი რბილია და იოლია მისი დატკეპნა. ბიჭები მწკრივში ჩადგებიან და მასწავლებლის ბრძანებით გუნდებს ისვრიან. თავდაპირველად მიზანში ტყორცნიან. ეს ეხმარება მათ ფეხების, ხელების და სხეულის მუშაობის კოორდინაციაში. ასეთი ტყორცნის შემდეგ ვარჯიშობენ შორს სროლაში. გაზაფხულზე, როცა მძლეოსნები სტადიონზე გამოვლენ, გ. გალპერინი და მისი აღსაზრდელები უკვე აღარ ხარჯავენ ძვირფას წუთებს ტექნიკის გამოსამუშავებლად. ტყორცნიან შედეგის მისაღწევად. ბურთს 60-70 მეტრზე გზავნიან.

57-ე სკოლაში მძლეოსნობა დიდი პოპულარობით სარგებლობს. III და IV კლასების ბავშვებიც კი აწყობენ „მორბენლის დღეს" (დისტანცია — 30 მ), „მხტომელის დღეს", კროსებს. მათი დამრიგებლები არიან უფროსკლასელები, რომელთაგან ბევრს აქვს საზოგადოებრივი ინსტრუქტორისა და მსაჯის მოწმობა. სკოლაში VI და VII კლასების მძლეოსანთა ორი ნაკრები გუნდია. ეს გუნდები დაახლოებით თანაბარი სიძლიერისა არიან. თუ ჭაბუკი მხტომელი ავად გახდა, ცვლა აუცილებლად მოიძებნება.

ოდესას ჩინებული ტრადიციები აქვს მძლეოსნობაში. აქ ბევრჯერ ჩატარებულა ძმები ზნამენსკების მემორიალი, სსრ კავშირის ჩემპიონატი და თასის გათამაშება, სამატჩო შეხვედრები. მაყურებლებს შორის მუდამ შეხვდებოდით პატარა გულშემატკივრებს 57-ე სკოლიდან, მომავალ სპორტის ოსტატებს, რომლებსაც შეიძლება ქალაქის, რესპუბლიკის, ქვეყნის ღირსების დაცვა მოუხდეთ.

**ვ. ვოლკოვი,**
გაზეთ „პიონერსკაია პრავდას" სპორტული მიმომხილველი.

# რევანში არ შედგა

ტყვის სროლაში სსრ კავშირის რვა უძლიერესი გუნდის შეჯიბრების დაწყებამდე თბილისს პირველნი ლატვიელები ესტუმრნენ და მასპინძლებთან ამხანაგური შეხვედრა გამართეს. მანამდე ეს გუნდები ერთმანეთს სამჯერ შეეჯიბრნენ და ანგარიშში უპირატესობა თბილისელთა მხარეს (2:1) იყო. ლატვიელებმა შარშან საქართველოს სპორტსმენებს საკავშირო ტურნირში აჯობეს და იმედი ჰქონდათ, რომ ამჯერადაც მოიგებდნენ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს: მასპინძლებმა გაიმარჯვეს.

ორივე კოლექტივის მეორე ამოცანა საკავშირო ტურნირისთვის მზადყოფნის გენერალური შემოწმება იყო. ამიტომ მეტოქენი მონდომებით, დაკვირვებით იბრძოდნენ და კარგი შედეგები მოიპოვეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ლატვიელმა ოსტატობის კანდიდატმა ა. კოსოლაპოვმა, თბილისელმა ოსტატობის კანდიდატებმა ვ. პანკოვამ და ტ. ყაზარიანმა წლევანდელ მეორედ შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმატივი და ახალი კლასიფიკაციით ამ წოდების ტარების უფლება მოიპოვეს.

უხვად დამყარდა რეკორდებიც. სპორტის ოსტატმა ვ. ერემენკომ მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტებზე სწრაფსროლაში 582 ქულა მოაგროვა და ლატვიის ქალთა ახალი რეკორდი დაამყარა. ამ რესპუბლიკის ძველი რეკორდი ამავე ვარჯიშში 13 ქულით გააუმჯობესა ტრიომ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ერემენკო, მ. სანდერე და ვ. შეველი. მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე რევოლვერპისტოლეტით სროლაში ა. კუზმინმა, გ. როზენბლატმა, პ. გრუზდინშმა და ვ. ალექსეევმა 10 ქულით გადააჭარბეს ლატვიის ძველ რეკორდს.

ვალში არც მასპინძლები დარჩნენ: „გაქცეულ ირემზე" 50 ერთმაგი გასროლით სპორტის ოსტატმა ლ. სიდამონიძემ 235 ქულა დააგროვა. ეს 3 ქულით სჯობს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ გ. თავდიდიშვილის რესპუბლიკურ რეკორდს. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტებზე სწრაფსროლაში სპორტის ოსტატმა ს. სტრეკალოვმა 591 ქულა დააგროვა. ეს სპორტის ოსტატ კ. ფოტიევის ძველ მიღწევაზე ქულით უკეთესია. ამავე ვარჯიშში სტრეკალოვმა, მ. ჟაშურაშვილმა, ფოტიევმა და რ. კარტაშიანმა საქართველოს ახალი მიღწევა დაამყარეს, ხოლო ქალთა ნაკრებმა (ს. ბუჩუკური, ლ. ალიხანოვა, ვ. პანკოვა) ასეთივე წარმატებას მიაღწია მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლაში.

დავასახელებთ მხოლოდ გამარჯვებულებს: მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა 60 გასროლა. ქალები: ბუჩუკური — 585 ქულა, ვაჟები: ს. ფარულავა — 589; მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე სროლა. ქალები: (3×20) ბუჩუკური — 566, ვაჟები: (3×40) — ე. აბაჯიანი (თბილისი) — 1139; მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტებზე სწრაფსროლა. ქალები: ერემენკო — 582, ვაჟები: ო. გოლუბევი (ლატვია) — 592; მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებზე სროლა. ქალები (30 გასროლა): სანდერე — 267, ვაჟები (60 გასროლა): ვ. სალუქვაძე — 562; მრგვალ სამიზნეებზე და სილუეტებზე სროლა. ქალები (მცირეკალიბრიანი პისტოლეტით): კაზარიანი — 577; ვაჟები (რევოლვერ-პისტოლეტით): კუზმინი — 592; პნევმატური შაშხანით სროლა. ქალები: ე. ვანაგა (ლატვია) — 345; ვაჟები: ი. შილვანი (ლატვია) — 354; „გაქცეულ ტახზე" სროლა. გ. ბექთაშევი (საქართველო) — 168; „გაქცეულ ირემზე" 25 ორმაგი სროლა. ა. ბუცისი (ლატვია) — 221; ნებისმიერი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლა. შილვანი — 560; მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებზე სწრაფსროლა. ქალები: სანდერე — 537, ვაჟები: კუზმინი — 548.

**თ. ლეკიშვილი,**
სპორტის ოსტატი.

# ოლიმპიური პროგრამის ახალი ბინადარი

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ფართოდ გავრცელდა ბაიდარებითა და კანოებით სლალომი. ახლა ამ სახეობაში საერთაშორისო ტურნირები, კონტინენტისა და მსოფლიოს ჩემპიონატებიც ეწყობა, შარშან ბუნ-სენ-მორისში (საფრანგეთი) გამართული მსოფლიო ჩემპიონატი კი სარეკორდო იყო — სტარტზე 18 ქვეყნის 205 სპორტსმენი გამოვიდა.

რას წარმოადგენს ეს შეჯიბრება? მთის სწრაფ მდინარეზე საასპარეზოდ ყველაზე რთულ 800-მეტრიან მონაკვეთს ირჩევენ და ამ ტრასაზე ვაჟებისთვის 30, ხოლო ქალებისთვის 28 კარს აწყობენ. კარი ორი სხვადასხვა ფერის (წითელი და მწვანე) ძელისგან შედგება. მონაწილემ წითელ ძელს მარცხნიდან, მწვანეს კი მარჯვნიდან უნდა შემოუაროს. კართა დაძლევა ხდება როგორც დინების მიმართულებით, ისე მის საწინააღმდეგოდ. ძელების შიდა მხრიდან შეხებისთვის სპორტსმენი 10 ქულით ჯარიმდება, გარედან შეხებისას — 50 ქულით, კარის გამოტოვებისთვის — 100 ქულით. საჯარიმო ქულათა ჯამს ბოლოს წამებად აქცევენ (ქულა წამს უდრის) და სპორტსმენის მიერ დისტანციაზე ნაჩვენებ დროს უმატებენ. გამარჯვებულად ის ითვლება, ვისაც ყველაზე ნაკლები დრო ექნება დახარჯული.

ტურნირები ტარდება როგორც ერთ, ისე ორმოსასმელიანი ნავებით. ეწყობა გუნდური შეჯიბრებებიც. გუნდი 3 ნავისგან შედგება. ტრიომ მთელ დისტანციაზე ერთად უნდა იაროს.

ეს სახეობა მიუნჰენის ოლიმპიადის პროგრამაში შეიტანეს.

სსრ კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკაში საწყლოსნო სლალომი 5-7 წელია დაინერგა. ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტმა ამ სახეობას განსაკუთრებით შარშან მიაქცია ყურადღება. ამას წინათ გაგრაში ჩატარდა საკავშირო შეკრება, სადაც მიწვეული იყო ყველა, ვისაც შეკრების შემდეგ გამართულ საკონტროლო შეჯიბრებაში მონაწილეობა შეეძლო. აქ თავი მოიყარა მოსკოვის, ლენინგრადის, ბალტიისპირეთისა და სხვა რესპუბლიკების 40-მდე სპორტსმენმა. მათ შორის 9 საქართველოდან (მცხეთიდან) იყო.

შეჯიბრება ბზიფისა და გუმისთის შენაკადების მიდამოებში გაიმართა. იმ პერიოდში თოვლი დნებოდა, რის გამოც მდინარის დონე აწეული, ხოლო დინება აჩქარებული იყო. ძალები უთანაბრო გამოდგა. სტუმართაგან ყველა 3-5 წელიწადს მაინც რყო ამ სახეობაში ნავარჯიშევი, მასპინძლებისთვის კი ეს პირველი შეჯიბრება გახლდათ, მაგრამ მათ გამოცდა მაინც კარგად ჩააბარეს.

800-მეტრიან ტრასაზე სპორტსმენებს ორი კარი დინების საწინააღმდეგოდ უნდა გაევლოთ. ბუნებრივი დაბრკოლებაც (უზარმაზარი ლოდები, ხეთა გვირაბები) საკმაოდ რთული იყო.

ერთადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრება მოიგო ა. ფროლოვმა (ლენინგრადი). II ადგილზეა მ. ლაიდინში (რიგა). III და IV ადგილები გ. ნასყიდაშვილმა და ფ. როსტიაშვილმა გაინაწილეს.

ორადგილიანი კანოებით ასპარეზობაში ყველას აჯობეს ა. კუზმინმა და ნ. კოროტკოვმა (მოსკოვი). მათ ოდნავ ჩამორჩა მდგარ წყალზე შეჯიბრებაში სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონის ე. პინიაევისა და ხ. იბრაჰიმოვის დუეტი. მასპინძლები ა. ბერიძე და მ. ჩხეიძე III ადგილზე გავიდნენ.

ქალები ერთადგილიანი ბაიდარებით ცდიდნენ ძალას. ყველას აჯობა ჰ. ჰერცბერგამ (რიგა).

ტურნირის შემდეგ გაიმართა მწვრთნელთა საბჭოს სხდომა, რომელმაც შეადგინა სსრ კავშირის ნაკრები. გუნდში საქართველოდან შეიყვანეს ნასყიდაშვილი, როსტიაშვილი, ბერიძე, ჩხეიძე, ო. მარეხაშვილი და ი. ბუზიაშვილი. მწვრთნელებად დანიშნეს ა. სლესარევი (უფროსი მწვრთნელი), ი. ლაზურკა და ჰ. მარეხაშვილი. სლესარევმა აღნიშნა, რომ გუნდი ჯერ სუსტია, მაგრამ ნაკრების ყველა წევრი მდგარ წყალზე რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო ბრძოლაში ნაწრთობი, გამოცდილი სპორტსმენია. ისინი მოკლე ხანში შეძლებენ ახალ სახეობას დაეუფლონ.

— განსაკუთრებით საქართველოს სპორტსმენების იმედი მაქვს, — თქვა მწვრთნელმა, — ვინაიდან საქართველო მდიდარია მთის მდინარეებით, ახალგაზრდობა კი ამ რესპუბლიკაში ალღოიანი და გაბედულია.

**მ. მნათობიშვილი,**
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

გაგრა.

• • •



სურათზე: ფ. როსტიაშვილი ასპარეზობისას.

ფოტო ავტორისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

# გადარჩენილი ქულა

თბილისი. საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის საცურაო აუზი. 24 აპრილი.

„დინამო“ (თბილისი) — წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილია (წკფ) 5:4 (2:2, 1:0, 1:2, 1:0).

„დინამო“: გულედანი, სანაძე, წიკლაური, მიმინოშვილი, ისელიძე, ოჩიგავა, დადივაძე, უშანგიშვილი, კურტანიძე.

წკფ: ჩერკასოვი, ბირიუზოვი, კისელიოვი, ტროფიმოვი, გორბენკო, მოგილევეცი, ზინგერი, ვასილკინი, სავინი.

მსაჯი ვ. ვეშელინი (მუკაჩოვო).

როგორ ფორმაშიც უნდა იყვნენ თბილისის „დინამოსა“ და წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიის გუნდები, მათი შეხვედრა მუდამ დაძაბული და საინტერესოა. ასე იყო ამჯერადაც, უმაღლესი ლიგის გუნდების პირველი წრის II ტურის გათამაშების სტარტზე. მატჩის დაწყებისთანავე ბურთს ბაქოელები დაეუფლნენ და ჩვენი გუნდის მისადგომებთან წამოიწყეს იერიში. დინამოელები, ეტყობა, ასეთ პროლოგს არ ელოდნენ და მყისვე მთელი ძალები დაცვის გასამაგრებლად გადაისროლეს. სტუმრებმა მაინც შეძლეს ანგარიშის გახსნა: მე-2 წუთზე მოგილევეცმა ძლიერად და ზუსტად ტყორცნა — 1:0.

თბილისელებს მალე მიეცათ საპასუხო იერიშის საშუალება და პირველივე შეტევა მათ ბაქოელთა კარის აღებით დაამთავრეს: ისელიძის ძლიერი ბურთი მეზღვაურთა მეკარე ჩერკასოვმა ვერ მოიგერია და ანგარიშიც გათანაბრდა. ამ მომენტიდან თბილისელებმა მთლიანად ხელთ იგდეს ინიციატივა, უბურთოდაც ბევრს მოძრაობდნენ და ამით დაბნეულობა შეჰქონდათ მეტოქეთა რიგებში. სტუმრებმა მათს ერთ-ერთ რთულ კომბინაციას ასავალ-დასავალი ვერ გაუგეს და ისელიძემ ანგარიში გაზარდა — 2:1. ამ მარცხმა თითქოს გამოაფხიზლა მეტოქე და რამდენიმე წამის შემდეგ გორბენკომ წონასწორობა აღადგინა.

მეორე პერიოდის დასაწყისში ლიწამოელებს ჰქონდათ ანგარიშის შეცვლის შესაძლებლობა, მაგრამ რიცხობრივი უპირატესობა ვერ გამოიყენეს: მეტოქეთა კარის იერიშისთვის განკუთვნილ 45 წამს გადააცილეს და ბურთი უბრძოლველად გადაულოცეს მეზღვაურებს.

ბაქოელებმა ისელიძეს ვერაფერი მოუხერხეს და რაც დრო გადიოდა, მით უფრო უხეშად ექცეოდნენ ისინი თბილისელთა უძლიერეს მოთამაშეს. ასე მოხდა მეორე პერიოდის ბოლოს. მეზღვაურთა კარისკენ ბურთით გაჭრილი ისელიძე მეტოქეთა ერთ-ერთმა მცველმა აკრძალული ილეთით შეაჩერა, რისთვისაც მსაჯმა 4-მეტრიანი საჯარიმო დანიშნა. ბურთი ჩვეული ოსტატობით ტყორცნა დაზარალებულმა — 3:2.

მესამე პერიოდი მეზღვაურთა უპირატესობით აღინიშნა. ჯერ იყო და, კისელიოვმა გაათანაბრა ანგარიში. მერე ისელიძემ 4-მეტრიანი საჯარიმოთი კვლავ დააწინაურა თავისი გუნდი, მაგრამ პერიოდის ბოლო წუთებში ბაქოელებმა რამდენიმეჯერ შეუტიეს მასპინძლებს და მათი მეკარე გულედანის გაბედული თამაში რომ არა, ბურთი კვლავ გავიდოდა ჩვენს კარში. ბაქოელებმა მაინც მიაღწიეს საწადელს: მსაჯმა ისელიძეს აუზი დაატოვებინა და ბაქოელთათვის რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება იოლი გამოდგა — 4:4 (ბურთი გაიტანა ბირიუზოვმა).

ბოლო 10 წუთი ორმხრივი იერიშებით აღინიშნა. თითქოს მეტოქეები „ზავით“ უნდა დასცილებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ბოლო წუთზე სანაძემ ახლოდან ზუსტად ტყორცნა კარის მარჯვენა კუთხეში — 5:4.

მაყურებელი თბილისელთა თამაშით კმაყოფილი დარჩა. ცნობილი ოსტატების ჩიქვანაიას, სხირტლაძისა და მეგედის წასვლის შემდეგ გუნდი ახალგაზრდებით შეივსო. თბილისელებმა საიმედო ცვლა მიიღეს უშანგიშვილის, კურტანიძისა და თორთლაძის სახით, რომლებმაც მშვენივრად აუბეს მხარი უფროს კოლეგებს.

• •

# წინასწარმეტყველება ახდა

პირველი დღის დანარჩენ ოთხ მატჩში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოსკოვის „ტორპედოს“ წაგებას ალმაათის „დინამოსთან“. ყაზახეთის წყალბურთელებმა პირდაპირ გაანადგურეს მეტოქეები პირველ და მეორე პერიოდებში, როცა მათ კარში 4 „მშრალი“ ბურთი მოათავსეს. მოსკოველები მხოლოდ ამის შემდეგ მოვიდნენ გონს, მაგრამ მატჩის გადარჩენაზე ფიქრი უკვე გვიან იყო. მართალია, „ტორპედომ“ ბოლო ორ პერიოდში უკეთ ითამაშა, მაგრამ მაინც დამარცხდა — 3:6. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის გუნდმა მოუგო „ლოკომოტივს“ (მოსკოვის ოლქი) — 5:3, მოსკოვის „დინამომ“ — კიეველ თანაკლუბელებს —, 6:2.

მოსკოვის უნივერსიტეტისა და ლენინგრადის „ბალტიკის“ წყალბურთელების შეხვედრა ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა. თავდაპირველად სტუდენტები დაწინაურდნენ (2:0, 3:1), მაგრამ ლენინგრადელებმა მესამე პერიოდის ბოლოს ანგარიში გაათანაბრეს — 4:4. ბოლო 10 წუთში მოსკოველებს დაწინაურების აშკარა შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ 4-მეტრიანი საჯარიმო ვერ გამოიყენეს. ბურთი მსაჯის სასტვენის შემდეგ დაყოვნებით ტყორცნა მათმა მოთამაშემ და, ცხადია, გოლი არ ჩაითვალა. მოსკოველებმა მაინც შეძლეს გამარჯვება — 5:4.

უნივერსიტეტის გუნდის მოთამაშეთაგან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ცნობილი წყალბურთელის პ. მშვენიერაძის ვაჟმა ნუგზარმა. მას შესანიშნავი ფიზიკური მონაცემები აქვს, კარგად ერკვევა რთულ სათამაშო სიტუაციებში, ოღონდ ესაა, ჯერ კიდევ აკლია სათანადო გამოცდილება. ეს არცაა გასაკვირი: მან ხომ სულ ახლახან შედგა ფეხი უმაღლეს ლიგაში. „ლელოს“ 1955 წლის ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელიც პ. მშვენიერაძის ბრწყინვალე ოსტატობას ეძღვნებოდა. მაშინ გაზეთის კორესპონდენტთან საუბრის შემდეგ სპორტსმენი აუზში გადაეშვა და ვარჯიში დაიწყო. პეტრეს თამაშს ტრიბუნიდან თვალს ადევნებდა მისი ვაჟი — 3 წლის ნუგზარი. წერილი ასე მთავრდებოდა: „ვინ იცის, იქნებ თხუთმეტიოდე წლის შემდეგ პირიქით მოხდეს — ტრიბუნაზე მყოფი პეტრე დატკბეს ნუგზარის ოსტატობით...“

სწორედ ასე მოხდა. ნუგზარი შეუპოვრად უტევდა „ბალტიკის“ კარს, ხოლო მამამისი ტრიბუნაზე იჯდა და თავისი ვაჟის თამაშით ტკბებოდა.

ზ. ჯაფარიძე.



* * *

სურათზე: მოსკოვის უნივერსიტეტისა და ლენინგრადის „ბალტიკის“ გუნდების მატჩი. მოსკოველი ნ. მშვენიერაძე უტევს ლენინგრადელთა კარს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრ. საწყ. სპორტკლუბი | 5 | 5 | 0 | 0 | 27—11 | 10 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 5 | 5 | 0 | 0 | 22—7 | 10 |
| უნივერსიტეტი (მოსკოვი) | 5 | 4 | 0 | 1 | 29—20 | 8 |
| „ბალტიკა“ (ლენინგრადი) | 5 | 3 | 0 | 2 | 17—16 | 6 |
| „დინამო“ (ალმა-ათა) | 5 | 2 | 1 | 2 | 22—21 | 5 |
| „დინამო“ (თბილისი) | 5 | 2 | 0 | 3 | 18—22 | 4 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 5 | 1 | 1 | 3 | 16—24 | 3 |
| წკფ (ბაქო) | 5 | 0 | 2 | 3 | 15—23 | 2 |
| „დინამო“ (კიევი) | 5 | 0 | 1 | 4 | 9—17 | 1 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკ. ოლქი) | 5 | 0 | 1 | 4 | 12—26 | 1 |

### გუშინ...

შედგა მორიგი მატჩები: „ბალტიკა“ — „ლოკომოტივი“ 7:3, წკფ (ბაქო) — „დინამო“ (ალმა-ათა) 4:5, „ტორპედო“ — „დინამო“ (მოსკოვი) 3:5. დანარჩენი ორი შეხვედრა გვიან საღამოს დამთავრდა.

### თბილისის სპორტულ ბაზებზე

წყალბურთი. ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის აუზი. დღეს: „ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდების საკავშირო პირველობა. დასაწყისი 12 ს.

## [illegible]

● ლეიდენი, 24 აპრილი. ჰოლანდიის ამ ქალაქში გრძელდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო შეჯიბრება. 4 ტურის შემდეგ დაწინაურდა მსოფლიო ჩემპიონი ბ. სპასკი. მან მოუგო ი. დონერს (ჰოლანდია), ყაიმით დაამთავრა შეხვედრები დანიელ ბ. ლარსენთან (ორჯერ), ბოტვინიკთან და ახლა 2,5 ქულა აქვს. 2-2 ქულა დაუგროვდათ ლარსენსა და დონერს (ჰოლანდიელმა მოუგო ლარსენს). ბოტვინიკს, რომელმაც წააგო ლარსენთან და ყაიმით დაამთავრა პარტიები სპასკისთან (ორჯერ) და დონერთან, 1,5 ქულა აქვს.

● ბუდაპეშტი, 24 აპრილი. მეგობრული არმიების მოჭადრაკეთა ტრადიციული შეჯიბრება საბჭოთა გუნდმა კარგად დაიწყო: ანგარიშით 3:0 (ერთი პარტია გადადებულია) დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის ნაკრები. საბჭოთა გუნდის ლიდერია დიდოსტატი ე. გელერი.

● ნავპოროვო, 24 აპრილი. აქ გაიმართა ბულგარეთის I ჩემპიონატი ბიატლონში, რომლის მონაწილეებს სროლით 15 კმ უნდა გაერბინათ. ყველას აჯობა ბ. ოჩუშკინმა — 1:32.16.

● პადუა, 24 აპრილი. იტალიელ მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში 17 წლის ლ. ბორტოლიმ 170 სმ სიმაღლე დაძლია და თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა. ე. ამანტემ ერთსაათიან რბენაში საკმაოდ მაღალი შედეგი (19 კმ 251 მ) აჩვენა.

● ჰალე, 24 აპრილი. გდრ-ის უძლიერესი მტყორცნელების შეჯიბრებაში გაიმარჯვა მეხიკოს ოლიმპიადის მეორე პრიზიორმა ლ. მილდემ. მისი ნატყორცნი ბადრო 58,16 მეტრზე დაეცა. ქალებში ყველას აჯობა ევროპის 1966 წლის ჩემპიონმა კ. შპილბერგმა — 56,82 მ.

## «500-ანთა კლუბი» საშუალო წონაშიც გაიხსნა

ვილნიუსი, 24 აპრილი. ძალოსანთა საკავშირო ჩემპიონატის მესამე დღე მართლაც საინტერესო გამოდგა. ამ დღეს საშუალო წონის ათლეტმა ძალოსნობის ისტორიაში პირველად დააგროვა 500 კგ. ეს ძალოსანი გახლდათ რიგელი გ. ივანჩენკო, რომელმაც თავისივე მსოფლიო რეკორდი 5 კილოგრამით გააუმჯობესა. II ადგილზე გავიდა მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონის რ. პლიუკფელდერის მოწაფე დ. რიგერი (როსტოვის ოლქი), რომელმაც ადრინდელი მსოფლიო რეკორდი (495 კგ) გაიმეორა. III ადგილზეა ოლიმპიური ჩემპიონი, ლენინგრადელი ბ. სელიცკი — 482,5 კგ.

ეს ყველაფერი საღამოს მოხდა. დღისით კი ქვესაშუალო წონის ათლეტები ასპარეზობდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, აქ ტოლი არ ჰყავდა მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, მოსკოველ ვ. კურენცოვს, რომელმაც სამჭიდში 472,5 კგ დააგროვა. კურენცოვი ახლოს იდგა მსოფლიო რეკორდთან სამჭიდში. აკვრაში მან პირველ ცდაზე 175 კგ დაძლია, შემდეგ კი 187,5 კილოგრამზე მიიტანა იერიში, რაც მსოფლიო რეკორდის გამეორება იქნებოდა. სამჭიდის ჯამში კურენცოვი ამჯერად 485 კგ-ს დააგროვებდა, რითაც 2,5 კილოგრამით დაამძიმებდა თავისივე მსოფლიო რეკორდს. მაგრამ ასე არ მოხდა და მოსკოველი ათლეტი მხოლოდ სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალს დასჯერდა. აღსანიშნავია, რომ მან ზედიზედ მეშვიდედ მოიპოვა ეს მაღალი წოდება. საინტერესოა ისიც, რომ კურენცოვმა სამივე ცალკეულ მოძრაობაში ოქროს მცირე მედლები დაისაკუთრა. სამჭიდში II ადგილზე გავიდა ლენინგრადელი ე. სმირნოვი — 455 კგ, III — რიგელი ა. მაიასინი — 445 კგ.

### 20.45

◆ ვილნიუსი, 25 აპრილი. ძალოსანთა საკავშირო ჩემპიონატში ქვემძიმე წონის ათლეტმა ს. პოლტორაცკიმ (რიგა) დამატებით ცდაზე 182 კგ აჰიმა და ნახევარი კილოგრამით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი, რომელიც ბ. იუჰანსონს (შვეცია) ეკუთვნოდა.

## სიდიაკი უძლეველია

მინსკში, სსრ კავშირის უძლიერეს მოფარიკავეთა ტურნირის მეორე დღეს კვლავ დაშნითა და ხმლით მებრძოლები ასპარეზობდნენ. ხმლით მოფარიკავეთა შეჯიბრებაში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ვ. სიდიაკმა. ფინალში მას არც ერთი ბრძოლა არ წაუგია, ასეთი რამ კი ფარიკაობაში თითქმის არ ხდება. ახლა მოფარიკავეთა წრეში ხშირად გაიგონებთ ასეთ სიტყვებს: სიდიაკის დამარცხება უკვე წარმოუდგენელიაო. მართლაც, ჩვენში ბევრი შესანიშნავი ესპადრონისტი (ი. რილსკი, ნ. ასათიანი, ლ. კუზნეცოვი, დ. ტიშლერი) ყოფილა, მაგრამ ასეთი აშკარა უპირატესობა არავის მოუპოვებია. ორი დღის შეხვედრების შემდეგ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ვ. სიდიაკი (მინსკი), უ. მავლიხანოვი, მ. რაკიტა (ორივე — რსფსრ).

დაშნით მებრძოლებში ყველაზე მეტი ქულა მოაგროვა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, მინსკელმა ა. ნიკანჩიკოვმა. II ადგილზეა მისივე თანაქალაქელი ი. სმოლიაკოვი, III — ბ. ლუკომსკი (ლენინგრადი).

მოფარიკავეთა შეჯიბრებები იშვიათად მთავრდება უსიურპრიზოდ. ასე იყო მინსკის ტურნირშიც. ჯერ იყო და, სმოლიაკოვმა ყველასთვის მოულოდნელად ლიდერთა ჯგუფში დაიმკვიდრა ადგილი, ხოლო ახალგაზრდა ნოვოსიბირსკელმა ა. კოტეშევმა რაპირისტთა შეჯიბრება მოიგო. ნიჭიერმა მოფარიკავემ ჩამოიტოვა მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები ვ. პუტიატინი, ი. შაროვი, ვ. სტანკოვიჩი და ლ. რომანოვი. II ადგილი წილად ხვდა ვ. ლუკიანჩენკოს, III-IV ადგილები გაინაწილეს პ. სიმონოვმა და ლ. რომანოვმა (ყველა — მოსკოვი).

## სალიდერო პოზიცია განიმტკიცა

როვინი, 24 აპრილი. აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის XI ტურში ყაიმით დამთავრდა პარტიები: პეტროსიანი — ივკოვი (იუგოსლავია), სმისლოვი — ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), ულმანი (გდრ) — კორჩნოი, მაროვიჩი — პარმა (ორივე — იუგოსლავია).

სალიდერო პოზიცია განიმტკიცა ფიშერმა (აშშ), რომელმაც მოუგო კურაიცას (იუგოსლავია). მინიჩმა დაამარცხა ნიჩევსკი (ორივე — იუგოსლავია).

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

მოწინავე ჯგუფში ახლა ასეთი მდგომარეობაა: ფიშერი — 9 ქულა, ჰორტი, პეტროსიანი — 7-7, გლიგორიჩი (იუგოსლავია), კორჩნოი — 6,5-6,5 ქულა და თითო გადადებული პარტია, მინიჩი, სმისლოვი — 6-6.

შეჯიბრების ბოლომდე 6 ტურია.

### 20.45

◆ კოშიცე, 25 აპრილი. სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა აქ გამართულ ამხანაგურ მატჩში დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის ეროვნული გუნდი—67:56 (41:24). სტუმართა შორის საუკეთესო სნაიპერები იყვნენ გუზიევა და კრესტიანიკოვა (14-14 ქულა), ხოლო მასპინძლებში — ხასიაჩოვა (16). საბჭოთა ნაკრებში არ იყვნენ ტტტ-ს მოთამაშეები, რომლებიც ამ დღეებში ევროპის ქვეყნების ჩემპიონის თასისთვის იბრძვიან.

**როცა გაზეთი ხელმოსაწერად მზად იყო...**

# გარინჩას „ინტერვიუ“

იყო დრო, როცა მანოელ ფრანსისკო დოს სანტოსის სახელი გრგვინავდა მსოფლიოს სტადიონებზე. 1958 წელს სტოკჰოლმში მანამდე უცნობმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა აალაპარაკა სპორტული სამყარო. გარინჩა (ასეთია ამ გრძელი გვარის მოკლე შინაარსი) მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდად იქნა აღიარებული.

გავიდა დრო. გარინჩამ მიიღო ერთი ტრავმა, მეორე, გაურთულდა ოჯახური მდგომარეობა. იგი დროებით გამოაკლდა საწვრთნელ ვარჯიშებს, დაკარგა სპორტული ფორმა, დაკარგა თამაშის ხალისიც. ლეგენდარულ ფეხბურთელს ნელ-ნელა ზურგი შეაქციეს პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ. გარინჩამაც აიყარა გული ფეხბურთზე და შეუმჩნევლად ჩამოსცილდა მას.



ცნობილი ფეხბურთელი, როგორც ეს ხშირად ხდება, აღმოჩნდა ეკონომიური სიძნელეების წინაშე, რაც სულ მალე კრახში გადაიზარდა. განსაკუთრებით ცუდ დღეში ჩავარდა იგი მეუღლესთან განქორწინების შემდეგ.

ახლა... მანოელ ფრანსისკო დოს სანტოსი ნელ-ნელა ფორმაში შედის, მაგრამ მწვანე მინდორზე კი არა, საესტრადო ასპარეზზე. საქმე ისაა, რომ „განთავისუფლებულმა“ გარინჩამ ცოლად შეირთო ბრაზილიური სამბას პირველი დედოფალი, ესტრადის ვარსკვლავი ელზა სუარესი. ახალგამომცხვარი ანტრეპრენიორი თავის მეუღლესთან ერთად მოგზაურობს მსოფლიოში და ცდილობს განიმტკიცოს ეკონომიური მდგომარეობა.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: გარინჩა და მისი მეუღლე ელზა სუარესი რომის აეროპორტში „ინტერვიუს“ აძლევენ ფოტოკორესპონდენტებს.

# საიდუმლოებით მოცული შეთქმულება

ამას წინათ მეხიკოს ერთ-ერთმა გაზეთმა „ლას ულტიმას ნოტისიასმა“ (უკანასკნელი ცნობები) დაბეჭდა საკმაოდ სენსაციური, მაგრამ ბუნდოვანი ცნობა იმის შესახებ, რომ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის დედაქალაქში მზადდებოდა თავდასხმა ბრაზილიელ პელეზე... მოტაცების მიზნით.

პირველ გაუგებრობას ამ ცნობაში იწვევს ის, რომ თავდასხმას ამზადებდნენ მექსიკელები. მართლაც, რას მისცემდა მექსიკას პელეს მოტაცება? ნუთუ ოქროს ქალღმერთისთვის ბრძოლაში მასპინძლებს მხოლოდ მისი ეშინიათ?

ამ მართლაც უცნაურ ფაქტს გაზეთი ასე ხსნის: თავდასხმის აქტი მექსიკის მთავრობის ოფიციალური კურსით უკმაყოფილოთა თავისებური პროტესტი უნდა ყოფილიყო მსოფლიო ჩემპიონატის წინ. კი მაგრამ, თუ ეს პოლიტიკური აქციაა, რატომ მაინცდამაინც უცხოელი აირჩიეს მსხვერპლად შეთქმულებმა? გაზეთის აზრით, პელეს გაუჩინარება მექსიკის დედაქალაქში ბრაზილიის მთავრობის ენერგიულ პროტესტს გამოიწვევდა, რაც, თავის მხრივ, უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა მექსიკის ხელისუფალთ. მთავრობა იძულებული გახდებოდა დათმობაზე წასულიყო.

სხვა გაზეთების წარმომადგენელთა შეკითხვები პოლიციამ უპასუხოდ დატოვა. მან საერთოდ არ დაადასტურა ამ ფაქტის რეალურობა, მაგრამ არც უარყო იგი. წესრიგის დამცველებმა მრავალმნიშვნელოვანი დუმილი არჩიეს.

„ლას ულტიმას ნოტისიასის“ ცნობით, დაკავებულია შეთქმულების 9 მონაწილე, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ბოროტგანმზრახველთა სრული რიცხვი. ფიქრობენ, რომ გადარჩენილები მაინც შეეცდებიან განზრახვის სისრულეში მოყვანას. დაბნეულმა ჟურნალისტებმა შეკითხვით მიმართეს ბრაზილიის საელჩოს, მაგრამ ვერც იქ მიიღეს გარკვეული პასუხი. უფრო მეტიც, საელჩოში საერთოდ არაფერი იცოდნენ ამ თავდასხმაზე.



ს უ რ ა თ ზ ე: პელე.

## • KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABdARUGAS •

### ეუსებიო აჩრდილიდაა...

ლისაბონის „ბენფიკა“ ეროვნულ ჩემპიონატში მარცხს მარცხზე განიცდის. საქმეს არც მოთამაშეთა ხშირი ცვლა შველის და არც ახალ-ახალი მწვრთნელების დანიშვნა.

„ბენფიკას“ მარცხის მთავარ მიზეზად ეუსებიოს სუსტი ფორმა მიაჩნიათ. ეს ახალი ამბავი არაა. მუხლის ოპერაციის შემდეგ „მოზამბიკელი ჯიქი“ უწინდელის აჩრდილიდაა. ახლა, მიმომხილველთა აზრით, იგი არა თუ არაფრით ეხმარება გუნდს, ხელსაც კი უშლის პარტნიორებს.

ასეთ პირობებში „ბენფიკა“ წინაალმდეგი აღარაა ეუსებიო რიოდე-ჟანეიროს „ვასკო და გამას“ დაუთმოს, თუმცა წინათ ამის გაგონებაც კი არ სურდა.

• •

### მწვრთნელი... ტრიბუნაზე

ინგლისის „მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელს ალისონს აეკრძალა თამაშების დროს კარს უკან, სათადარიგო მოთამაშეებთან ერთად ყოფნა. არაერთგზისი შენიშვნის მიუხედავად, ალისონმა ხელი არ აიღო თამაშის მსვლელობაში განუწყვეტელ კარნახზე. მეტოქე გუნდების მწვრთნელებმა ინგლისის ფეხბურთის ფედერაციას მოსთხოვეს დაესაჯა ეს „დირიჟორი“, რაც განხორციელდა კიდეც.

ამიერიდან ალისონს ადგილი მიეჩინა ტრიბუნაზე. ფედერაციის ცნობაში ნათქვამია, რომ ეს გადაწყვეტილება სამუდამოა.

• •

### დაისაჯა როკოც, რივერაც...

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ მკაცრად დასაჯა „მილანის“ მთავარი მწვრთნელი ნ. როკო, რომელიც ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში გვერდით მსაჯს მიეჭრა და გამოლანძღა იგი. მწვრთნელი 1 ივნისამდე გადაყენებულია თანამდებობიდან.

2 თამაშით დისკვალიფიცირებულია „მილანის“ კაპიტანი ჯ. რივერაც, რომელიც, ფედერაციის აზრით, ცუდ მაგალითს აძლევს პარტნიორებს და უხეშად თამაშობს.

• •

### გადაიბირეს ურუგვაელები

როგორც სან-პაულუში გამოცხადდა, ბრაზილიის კლუბებმა გადაიბირეს განთქმული ურუგვაელი მოთამაშე „პენიაროლიდან“ — ცნობილი მეკარე მაზურკევიჩი (მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ იგი „სანტოსში“ ჩაირიცხება) და არანაკლებ ცნობილი ნახევარმცველი როჩა („ფკ სან-პაულუ“). ეს იმას ნიშნავს, რომ მძიმე მდგომარეობაში ვარდება არა მარტო „პენიაროლი“, არამედ ურუგვაის ნაკრებიც.

• •

### ამარილდოც დააჯარიმეს

ბრაზილიელი ამარილდო, რომელიც „ფიორენტინის“ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია, ამას წინათ კლუბმა 1 მილიონი ლირით დააჯარიმა. საქმე ისაა, რომ იტალიის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში ამარილდოს მინდორი დაატოვებინეს არასპორტული საქციელისთვის, რის გამოც გუნდი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა.

ასეთივე საქციელისთვის იგივე სასჯელი ხვდა წილად ბრაზილიელ ჩინეზინიოსაც, რომელიც ახლა „ლანეროსიში“ (ვიჩენცა) გამოდის.

ბრაზილიელების მინდვრიდან გაძევებასთან დაკავშირებით იტალიელი მიმომხილველები წერეხ: „რატომ არ ბაძავენ ისინი კიდევ ერთ ბრაზილიელს — სორმანის? „მილანის“ ეს თავდამსხმელი არასოდეს გაუგდიათ მინდვრიდან“.

### ალბერტი დაუბრუნდა „ფერენცვაროშს“

განთქმული უნგრელი თავდამსხმელი, ნაკრების კაპიტანი ფ. ალბერტი დაუბრუნდა თავის კლუბ „ფერენცვაროშს“. შარშან ზაფხულს იგი მძიმედ დაშავდა და ხანგრძლივად მკურნალობდა.

კორესპონდენტებთან საუბარში ალბერტმა განაცხადა, რომ ძალიან იმედგაცრუებულია უნგრელების თამაშით მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში, მაგრამ ოცნებობს თავისებურ რევანშზე, რომელიც უნგრეთმა უნდა აიღოს ევროპის მომავალ პირველობაში.

• •

### ჰამრინი კვლავ მინდორზეა

35 წლის შვედი ფეხბურთელი კ. ჰამრინი არ აპირებს ფეხბურთის მიტოვებას, თუმცა ადრე ბევრი წინასწარმეტყველებდა მისი კარიერის დასასრულს. ვეტერანს ძალიან ელოლიავება მისი ახალი კლუბის „ნაპოლის“ ხელმძღვანელობა. „ჰამრინს აძლევენ ნახევარ მილიონ ლირას თითოეულ მატჩში და 100 ათას ლირას ყოველ გატანილ გოლში“, — იუწყება პრაღის ჟურნალი „გოლი“.

• •

### ჰ. გრენი „ემუქრება“ ს. მეტიუზს

ჰ. გრენი ამას წინათ აღიარეს შვეციის ყველა დროის № 1 ფეხბურთელად. იგი 57-ჯერ მონაწილეობდა ეროვნული ნაკრების მატჩებში და ახლაც, 50 წლის ასაკში, თავს არ ანებებს ფეხბურთის თამაშს, დღეს იგი შვეციის III ლიგის გუნდ „სკოგენ იფ“-ის მწვრთნელი და მოთამაშეა.

თავისი კარიერა გრენმა 1948 წელს დაიწყო, როცა თავი გამოიჩინა ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში. იგი 10 წელს იტალიის კლუბებში გამოდიოდა, 1958 წელს შვეციაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში ვერცხლის მედალი მოიხვეჭა, შემდეგ კი წარმატებით თამაშობდა I ლიგის წამყვან კლუბ „გეტებორგში“.

• •

### „მსოფლიოს მცირე ჩემპიონატის“ ირგვლივ

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ბრაზილიის დამოუკიდებლობის გამოცხადების 150 წლისთავის აღსანიშნავად ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია აწყობს დიდ საერთაშორისო ტურნირს, რომელსაც პრესა „მსოფლიოს მცირე ჩემპიონატს“ უწოდებს.

ეს ტურნირი 1972 წელს ეწყობა. რიო-დე-ჟანეიროში გამოცხადდა, რომ ტურნირში მიწვეული არიან ინგლისის, გფრ-ის, სსრ კავშირის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, პორტუგალიის, არგენტინის, კოლუმბიის, პერუს, მექსიკისა და პარაგვაის გუნდები. მე-12 მონაწილე თვით ბრაზილიის ნაკრები იქნება.

• •

### კვლავ საჩვენებელი ტურნირი

რაკი ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულმა ჩემპიონატმა ვერავინ დააინტერესა (მას აშკარად არ ჰყავდა მაყურებელი), ამ ქვეყნის ფეხბურთის მესვეურებმა გადაწყვიტეს ისევ საჩვენებელ ტურნირებს მიმართონ. უცხოეთის ცნობილი კლუბების გასტროლებმა ის უნდა მოახერხონ, რაც ადგილობრივმა ფეხბურთელებმა ვერ შეძლეს, ე. ი. მიიზიდონ მაყურებელი.

წლევანდელ საჩვენებელ ტურნირში მიწვეული არიან ცნობილი ევროპული კლუბები — „სელტიკი“ (შოტლანდია), „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი), „შალკე 04“ (გფრ) და იტალიის რომელიმე მოწინავე გუნდი.

## ახალი ცნობები

ბუდაპეშტი, 25 აპრილი. „სსრ კავშირისა და იტალიის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გასვლის ყველაზე მეტი შანსი აქვთ“, — განაცხადა ბუდაპეშტის ჟურნალ „ფუტბოლისთვის“ მიცემულ ინტერვიუში უეფა-ს ვიცე-პრეზიდენტმა შ. ბარჩმა.

ბარჩის აზრით, ბრაზილიისა და ურუგვაის ძლიერი გუნდები, რომელთა ძალასაც იგი აღიარებს, ალბათ ჩემპიონატის ნახევარფინალურ ეტაპს ვერ გასცდებიან. სსრ კავშირის ნაკრების დახასიათებისას ბარჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ფეხბურთელებს შეუძლიათ უძლიერესნი იყვნენ დედამიწაზე, თუ ბოლო წლების შეცდომებიდან სათანადო დასკვნებს გამოიტანენ.

ჩემპიონატის მეოთხედფინალისტთა წრე ბარჩმა ასე განსაზღვრა: სსრ კავშირი, მექსიკა, იტალია, შვეცია, ინგლისი, ჩეხოსლოვაკია, გფრ და ბულგარეთი.

ლიმა, 25 აპრილი. პერუს ნაკრებმა თავისი ქვეყნის დედაქალაქში ანგარიშით 2:0 მოუგო შეხვედრა პორტუ-ალეგრეს „ინტერნასიონალს“ (ბრაზილია).

ბუქარესტი, 25 აპრილი. რუმინეთის ნაკრებმა საწვრთნელ მატჩში დაამარცხა უმაღლესი ლიგის გუნდი „სტიაუა როშუ“ — 3:1. ნაკრების წევრთაგან ბურთები გაიტანეს დუმიტრაკემ (2) და დომიდემ.

# სამართლიანი პროტესტი

ლონდონი, 24 აპრილი. აფრიკის 13 ქვეყნის სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მოწოდებით მიმართეს ინგლისის მთავრობას, რომ ამ უკანასკნელმა არ დაუშვას სამხრეთ აფრიკის კრიკეტისტთა გამოსვლა ბრიტანეთის კუნძულებზე, რადგან ეს გუნდი მხოლოდ თეთრკანიანი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული.

როგორც ლონდონის გაზეთი „გარდიანი“ იუწყება, ეს მიმართვა მიღებულია ამას წინათ კაიროში, აფრიკის სპორტის საქმეთა უმაღლესი საბჭოს სხდომაზე. „იმ შემთხვევაში, თუ ტურნე მაინც მოეწყო, — წერს გაზეთი, — აფრიკის 13 ქვეყანა უარს ამბობს ბრიტანეთის ტრადიციულ თამაშებში მონაწილეობაზე“.

სამხრეთ აფრიკის გუნდის მოსალოდნელი ვიზიტი აპარტეიდის პოლიტიკის მოწინააღმდეგეთა სამართლიან პროტესტს იწვევს როგორც სამხრეთ აფრიკაში, ისე ბრიტანეთის კუნძულებზე.

ამ ვიზიტის წინააღმდეგ გამოდიან ინგლისის პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები. შეიძლება ითქვას, რომ ამ ოპოზიციაზე ყველაზე ნათლად მეტყველებს „განსაკუთრებული მზადება“, რომლითაც ახლა სამხრეთაფრიკელთა ვიზიტის ინიციატორები არიან დაკავებული ინგლისში. უკვე დღეს სპორტული მოედნები, სადაც სამხრეთ აფრიკის წარმომადგენლები უნდა გამოვიდნენ, ეკლიანი მავთულითაა შემოღობილი. ტურნე დიდ საქმეს გაუჩენს პოლიციასაც, რადგან სამხრეთაფრიკელთა გუნდის დაცვა იმ დღეებში მართლაც ძნელი იქნება. ადგილობრივი პრესის ვარაუდით, ყოველი მატჩის დროს კრიკეტის მინდვრებს, სულ ცოტა, რამდენიმე ასეულ პოლიციელს მიუჩენენ.

(საკდესი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 08169